საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის

საბჭოს თავმჯდომარეს

განმცხადებელი: ბექა გაბადაძე

განცხადება

(საქმისწარმოების დაწყების შესახებ)

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პრინციპი

მოგმართავთ, რათა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ქარტიის შიდამარეგლამენტირებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით შესწავლოთ/განიხილოთ დარღვევის ფაქტი.

პერსონალური/პროფესიული მონაცემები ჟურნალისტის/რედაქტორის, რომელმაც შესაძლოა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით აღიარებული პრინციპები

ჟურნალისტის თეა ადეიშვილის სიუჟეტში „ვარძიის ხანძარი და გაჭვარტლული უნიკალური ფრესკები“, რომელიც სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 ზე გადაცემა „პოსტ სკიპტუმში“ გავიდა ახალისებდა დისკრიმინაციას და ქმნიდა ნეგატიურ წინასწარგანწყობებს არაჰეტერონორმატიული ადამიანების მიმართ.

კერძოდ სიუჟეტის 15:30 წუთზე ჟურნალისტი და რესპოდენტი გიორგი კალანდია საუბრობენ: კალანდია: (საუბრობს თამარ მეფის ქმარზე) შერთეს იმ კაცს, რომელსაც ყველა უღირსი თვისება ჰქონდა:

ადეიშვილი: ლოთი, მამათმავალი, ზოოფილი, გიორგი რუსი...

განმცხადებლის პირადი მოსაზრება/განმარტება თუ რატომ მიიჩნევს, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია ქარტიის პრინციპები

ტერმინი „მამათმავლობა“ არასწორად გამოიყენება სექსუალური ორიენტაციის აღმნიშვნელად და მთქმელის მიერ იმ პრაქტიკის გაზიარებას გულისხმობს, რაც ჰომოფობიური ჩაგვრის პრაქტიკებს ახასიათებს. გეი და ბისექსუალი კაცების მიმართ ამგვარი შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და ამავდროულად მათი გაიგივება სქესუალური ქცევის იმგვარ მოცემულობასთან როგორიცაა ზოოფილია იწვევს დისკრიმინაციის პრაქტიკებს და ირაციონალური შიშებს საზოგადოებაშ.

მედიას აქვს სოციალური პასუხისმგებლობა, არა მხოლოდ არ გაამძაფროს დისკრიმინაცია, არამედ საზოგადოებაში არსებულ ირაციონალური შიშების და ზიზღის წინააღმდეგ საინფორმაციო პროაქტიული ქმედებები განახორციელოს. ამ სიუჟეტში კი პირიქით, ჟურნალისტმა გაამყარა ის ნეგატიური დამოკიდებულებები რაც საზოგადოებაში არსებობს.

საგულისხმოა, რომ სიუჟეტი მომზადებული იყო რელიგიურ თემატიკაზე და ეს ქმნიდა დამატებით მძიმე მადისკრიმინერებელ ფაქტორს.

სასურველია დანართი – აუდიო ან/და ვიდეო ან/და ბაჭდური ფორმით არსებული მასალა ან ბმული, სადაც ასახულია ის ფაქტები/გარემოებები, რასაც ეფუძნება განცხადება

http://rustavi2.com/ka/news/60815

განმცხადებელი (ხელმოწერა): ბექა გაბადაძე

თარიღი: 11/07/2015

განმცხადებლისათვის ცნობილია, რომ განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას.